ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/290124/1

ქ. თბილისი **29 იანვარი 2024 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ „შემოსავლების სამსახური“, ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“); იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16; ს/კ: 204525585; მიმღების დასახელაბა: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **სსიპ „საქართველოს შსს აკადემია“**, მისი რექტორის, ზურაბ ზუბადალაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №4, ტელეფონის ნომერი: 577407078, ს/კ: 209467628, მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707977151

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის სატრენინგო მომსახურების (CPV-80511000 - მომსახურებები კადრების მომზადების სფეროში) შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუცქიონის გარეშე (სატენდერო განცხადების **№ NAT240000397**) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **14`706.00 (თოთხმეტი ათას შვიდას ექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარად** (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის თეორიული სწავლება ფასების ცხრილი - დანართი №1 და ტექნიკური დავალება - დანართი №2-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.1.1. სამგზავრო და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შემოწმების სწავლება.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებმა სწავლების შემდეგ უნდა შეძლონ სამგზავრო დოკუმენტების გამცემი ქვეყნის, ტიპებისა და სახეობების დადგენა; დოკუმენტის დამცავი ნიშნების ამოცნობა, პერსონალიზაცია; ფოტოსურათების რასტრი; ვიზების სახეობებისა და დამცავი ნიშნების ამოცნობა; ყალბი დოკუმენტების შემოწმება და სიყალბის ტიპის დადგენა;

3.1.2. სასაზღვრო-მიგრაციის მართვისა და მოხსენების სისტემა (BMARS)-ის სწავლება.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებს უნდა შეეძლოთ BMARS-ის სისტემის გამოყენება; მთავრობის 255, 256 დადგენილების მიხედვით შედგენილი ცხრილების გამოყენება; სხვადასხვა სამგზავრო დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების, არასრულწლოვანი პირის, ვიზის დეპორტირებული პირის რეგისტრაცია.

3.1.3. ინტერვიურების ტექნიკის სწავლება.

ინტერვიურების ტექნიკის სწავლებამ უნდა მოიცვას სტრესის მენეჯმენტი, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტი.

3.2. სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დასრულების შემდეგ უნდა გაიცეს შესაბამისი ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3.3. საორიენტაციო ინფორმაცია მოცემულია დანართი №2-ში.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს 2024 წლის 30 აპრილისა**.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვროს მიმწოდებლის მიერ დანართი №1-ის შესაბამისად წარმოდგენილი ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №4.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება 5 (ხუთი) სამუშაო დღე, რათა უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშკრულება.
5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახური"- დან).
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან გამხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ ინსპექტირების, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტე(ბი)ს გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან") არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;
7.1.2. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და **მოქმედებს 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

შემსყიდველი **სსიპ „შემოსავლების სამსახური"**	**მიმწოდებელი** **სსიპ „საქართველოს შსს აკადემია"**
_____ **მიხეილ ახვლედიანი** ფინანსური დეპარტამენტის	_____ **ზურაბ ზუბადალაშვილი** რექტორი

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2024.01.29 18:16:02 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	მომსახურების გაწევის ადგილი ფაქტობრივი მისამართი	მომსახურების გაწევის ვადა
1	ტრენინგის "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის კონტროლის ღონისძიებების სწავლების" მომსახურების შესყიდვა.	129 მსმენელი	114	**14706**	ქ.თბილისი, გმირი კურსანტების ქ.N4	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 30 აპრილი.
ჯამი						

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორი ზურაბ ზუბადალაშვილი

საბაჟოს სტაჟიორების სწავლება

ხანგრძლივობა	59 საათი (2 საათი ეთმობა შეფასებას)
თემების რაოდენობა	7

L - ლექცია

I - ინტერაქცია

დღის გეგმა

სამგზავრო და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შემოწმება (18 საათი)			
N	დრო	**აქტივობის შინაარსი**	**მეთოდი**
1	45 წთ	**სამგზავრო დოკუმეტების გამცემი ქვეყნის, ტიპებისა და სახეობების დადგენა.** • სამგზავრო დოკუმენტების და სტანდარტიზაცია; • სამგზავრო დოკუმეტების გამცემი ქვეყნის, ტიპებისა და სახეობების დადგენა.	**L/I**
		შესვენება	
2	45 წთ	**სამგზავრო დოკუმეტების გამცემი ქვეყნის, ტიპებისა და სახეობების დადგენა.** • სამგზავრო დოკუმეტების გამცემი ქვეყნის, ტიპებისა და სახეობების დადგენა. **პრაქტიკული**: დოკუმენტის გამცემი ქვეყნის/ორგანოს, სახეობისა და ტიპის დადგენა დარიგებული ნიმუშების მიხედვით.	**L/I**
		შესვენება	
3	45 წთ	**მანქანურად წაკითხვადი ზონა** • მანქანურად წაკითხვადი ზონა პასპორტებში; • მანქანურად წაკითხვადი ზონა პლასტიკურ ბარათებში;	**L/I**
		შესვენება	
4	45 წთ	**მანქანურად წაკითხვადი ზონა** • მანქანურად წაკითხვადი ზონა ვიზებში. • პრაქტიკული: მანქანურად წაკითხვადი ზონის უშეცდომოდ წაკითხვა სხვადასხვა სახეობის დოკუმენტის მიხედვით.	**L/I**
		შესვენება	
5	45 წთ	**სამგზავრო დოკუმენტების შემადგენლობა,** • ელექტრონული დოკუმენტები; • პირადობის მოწმობების შემადგენლობა; • პასპორტების შემადგენლობა;	**L/I**

		• შემოწმებისთვის საჭირო ხელსაწყოები და მეთოდები	
		შესვენება	
6	45 წთ	**დოკუმენტების დამცავი ნიშნები** **1 ეტაპი საბაზისო მასალა** • სამგზავდაცული ქაღალდის თავისებურებები; • წყლის ნიშანი; • ბოჭკო; • პლანშეტი; • დამცავი ძაფი • პრაქტიკული: დამცავი ნიშნების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით. **პრაქტიკული: დამცავი ნიშნების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით.**	**L/I**
		შესვენება	
7	45 წთ	**დოკუმენტების დამცავი ნიშნები** **1 ეტაპი საბაზისო მასალა** • ბოჭკო; • პლანშეტი; • დამცავი ძაფი **პრაქტიკული: დამცავი ნიშნების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით.**	**L/I**
		შესვენება	
8	45 წთ	**სამგზავრო დოკუმენტების დამცავი ნიშნები** • სამგზავრო დოკუმენტის დასაბეჭდად გამოყენებული ტექნოლოგიები; • სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით დაბეჭდილი დამცავი ნიშნები; პრაქტიკული : დასაბეჭდად გამოყენებული ტექნოლოგიების, დამცავი ნიშნების და საღებავების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით	**L/I**
		შესვენება	
9	45 წთ	**სამგზავრო დოკუმენტების დამცავი ნიშნები** • სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით დაბეჭდილი დამცავი ნიშნები; • ბეჭდვისას გამოყენებული საღებავები. **პრაქტიკული** : დასაბეჭდად გამოყენებული ტექნოლოგიების, დამცავი ნიშნების და საღებავების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით	**L/I**
		შესვენება	
10	45წთ	დამატებითი დაცვა: • ყდა; • აკინძვა; • პერფორაცია; • OVD ოპტიკურად ცვალებადი გამოსახულებები; **პრაქტიკული:** დამცავი ნიშნების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით.	**L/I**
		შესვენება	

11	45წთ	**დამატებითი დაცვა:** • ლამინატი. **პრაქტიკული:** დამცავი ნიშნების დემონსტრირება დარიგებული ნიმუშების მიხედვით.	**L/I**
		შესვენება	
12	45წთ	**პერსონალიზაცია** ➢ მონაცემთა გვერდი; ➢ ფოტოსურათების რასტრი. პრაქტიკული: დარიგებულ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათების რასტრების დადგენა არსებული ხელსაწყოების გამოყენებით.	**L/I**
		შესვენება	
13	45წთ	**საქართველოს სამგზავრო დოკუმენტები.** • საქართველოს მოქალაქის სამგზავრო დოკუმენტები; • საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა სამგზავრო	**L/I**
		შესვენება	
14	45 წთ	**საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;** • საქართველოს ბინადრობის მოწმომა; • უკან დაბრუნების მოწმობა; • მართვის მოწმობა და რეგისტრაციის მოწმობა და სხვა;	**L/I**
		შესვენება	
15	45 წთ	**საქათველოს ვიზა** • საქართველოს ვიზის მიმოხილვა; • საქართველოს ვიზის სახეები; • საქართველოს ვიზის დამცავი ნიშნები **საქართველოს თარიღ-დამღა** • საქართველოს საზღვრის კვეთისას გამოყენებული თარიღ-დამღები და მათი დანიშნულება; • თარიღ-დამღების დამცავი მექანიზმები	**L/I**
		შესვენება	
16	45წთ	**სხვადასხვა ქვეყნის ვიზების, პირადობის და ბინადრობის მოწმობების განხილვა.** **პრაქტიკული**: სხვადასხვა ქვეყნის პირადობის და ბინადრობის მოწმობების განხილვა დარიგებული ნიმუშების მიხედვით	**L/I**
		შესვენება	
17	45წთ	**დოკუმენტის შემოწმების ეტაპები** • გაყალბების ტიპები; • ყალბი დოკუმენტების შემოწმების პრინციპები.	**L/I**
		შესვენება	
18	45წთ	**დოკუმენტის შემოწმების ეტაპები** • სხვადასხვა ქვეყნის ყალბი დოკუმენტების გამოვლენა და სიყალბის ტიპის დადგენა; **პრაქტიკული:** სხვადასხვა ქვეყნის ყალბი დოკუმენტების განხილვა	**L/I**

სასაზღვრო-მიგრაციის მართვისა და მოხსენების სისტემა (BMARS) (20 სთ)			
N	**დრო**	**აქტივობის შინაარსი**	**მეთოდი**
1	45 წთ	BMARS-ის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; სამუშაო სადგურის აღწერა; სარეგისტრაციო ფორმა; ავტორიზაცია.	L
		შესვენება 15 წთ	
2	45 წთ	სარეგისტრაციო პროგრამაში ავტორიზაციის გავლა; პასპორტის წამკითხველი აპარატისა და ვებ-კამერის გამოყენება.	L/I
		შესვენება 15 წთ	
3	45 წთ	რეალურ დროში გადაღებული ფოტოსა და სამგზავრო დოკუმენტიდან სკანირებული ფოტოს ფანჯრების დანიშნულება; სავალდებულო და არასავალდებულო ველები; ასარჩევი ველები; მონაცემების არასრული შეტანა.	L/I
		შესვენება 15 წთ	
4	45 წთ	ზედა ფუნქციური მენიუს ღილაკების დანიშნულება; რეგისტრაციის ფორმის ველების შევსება.	L/I
		შესვენება 15 წთ	
5	45 წთ	მთავრობის 255, 256 დადგენილება; 255-ე და 256-ე მთავრობის დადგენილების მიხედვით შექმნილი ცხრილის გამოყენება.	L/I
		შესვენება 15 წთ	
6	45 წთ	პირის რეგისტრაცია; ე.წ დაუსრულებელი რეგისტრაცია; შავი სიის მონაცემების განხილვა; საეჭვო ან ძებნილი პირის იდენტიფიკაცია; საეჭვო ან ძებნილი დოკუმენტის იდენტიფიკაცია.	L/I
		შესვენება 15 წთ	
7	45 წთ	მონაცემების (დოკუმენტის ნომერი, ქვეყანა, დოკუმენტის ტიპი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი, დოკუმენტის მოქმედების ვადა, გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, სქესი) განთავსება სარეგისტრაციო პროგრამის შესაბამის ველებში და დარეგისტრირება.	L/I
		შესვენება 15 წთ	
8	45	სარეგისტრაციო პროგრამაში სხვადასხვა ტიპის სამგზავრო დოკუმენტების რეგისტრაცია;	I
		შესვენება 15 წთ	
9	45	პირის რეგისტრაცია, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე.	L
		შესვენება 15 წთ	
10	45	პირის რეგისტრაცია, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე: მონაცემების განთავსება სარეგისტრაციო პროგრამის შესაბამის ველებში და უარის თქმის საფუძვლის მითითება.	I

		შესვენება 15 წთ	
11	45	დამატებითი დოკუმენტების რეგისტრაცია (საქართველოს ბინადრობის მოწმობა, სხვა ქვეყნის ბინადრობის ნებართვა ან ვიზა, აკრედიტაციის ბარათი და სხვ).	L/I
		შესვენება 15 წთ	
12	45	ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია. მონაცემების განთავსება სარეგისტრაციო პროგრამის შესაბამის ველებში; საეჭვო ან ძებნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია; ლიზინგით დატვირთული ავტომობილების იდენტიფიცირება	L/I
		შესვენება15 წთ	
13	45	სარეგისტრაციო პროგრამაში სხვადასხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების დარეგისტრირება;	I
		შესვენება 15 წთ	
14	45	საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანი პირების რეგისტრაცია.	L/I
		შესვენება 15 წთ	
15		უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვანი პირების რეგისტრაცია.	L/I
		შესვენება 15 წთ	
16	45	საქართველოს ვიზის რეგისტრაცია.	L/I
		შესვენება 15 წთ	
17		დეპორტირებული პირის რეგისტრაცია.	L/I
		შესვენება 15 წთ	
18	45	სხვადასხვა სამგზავრო დოკუმენტის, დამატებითი დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების, არასრულწლოვანი პირის, ვიზის, დეპორტირებული პირის, დარეგისტრირება რეგისტრაციის წესის გათვალისწინებით.	I
		შესვენება 15 წთ	
19	45	სხვადასხვა სამგზავრო დოკუმენტის, დამატებითი დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების, არასრულწლოვანი პირის, ვიზის, დეპორტირებული პირის, დარეგისტრირება რეგისტრაციის წესის გათვალისწინებით.	I
		შესვენება 15 წთ	
20	45	სხვადასხვა სამგზავრო დოკუმენტის, დამატებითი დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების, არასრულწლოვანი პირის, ვიზის, დეპორტირებული პირის, დარეგისტრირება რეგისტრაციის წესის გათვალისწინებით.	I

ინტერვიურების ტექნიკა (4 სთ)			
N	**დრო**	**თემა**	**მეთოდი**
1	**45 წთ**	**პროფილირება** მგზავრისა და სამგზავრო დოკუმენტების შემოწმება • პირთა პროფილირების მეთოდი; • პირთა პროფილირების ტექნიკა;	**L/I**
		შესვენება	
2	**45 წთ**	**პროფილირება** • ადამიანის უფლებები და სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლი; • წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა; • თავშესაფრის უფლება; • დისკრიმინაციის აკრძალვა; • რელიგიის თავისუფლება; • მიმოსვლის თავისუფლება; • ტრეფიკინგი	**L/I**
		შესვენება	
3	**45 წთ**	**თვითმარქვიები (მსგავსი პიროვნებები)** • თვითმარქვიათა გამოვლენის მეთოდები; • პირსახის საკონტროლო ერთეულების შემოწმება.	**L**
		შესვენება	
4	**45 წთ**	**თვითმარქვიები (მსგავსი პიროვნებები)** პრაქტიკული: პიროვნების იდენტიფიკაცია სახის მახასიათებლების მიხედვით.	**I**

I დღე -სტრესის მენეჯმენტი (5 სთ)		
I სესია	**აქტივობა**	**აღწერა**
10 წთ	გაცნობა	1. ინსტრუქტორი ეცნობა მსმენელებს და აწვდის დღის მოკლე მონახაზს
20 წთ	გამოკითხვა	1. ინსტრუქტორი გამოკითხავს მსმენელებს რა იციან სტრესის შესახებ ზოგადად და 2. რატომ შეიძლება იყოს აღნიშნული საკითხის ცოდნა მნიშვნელოვანი
15 წთ	მცირე ლექცია	1. მცირე ლექცია სტრესისა და სტრესორების შესახებ. 2. ადამიანზე სტრესის ზემოქმედების მოდელის განხილვა. 3. რას იწვევს უყურადღებოდ დატოვებუული სტრესი.
15 წთ	შესვენება	
II სესია	**აქტივობა**	**აღწერა**
45 წთ	ჯგუფური დისკუსია	1. მსმენელებს რიგრიგობით წარედგინებათ მცდარი შეხედულებები სტრესთან დაკავშირებით. დისკუსიის მონაწილეები თავად განმარტავენ რატომ შეიძლება იყოს მოცემული შეხედულება მცდარი. ინსტრუქტორი მსჯელობას აჯამებს და იძლევა სწორ პასუხებს.
15 წთ	შესვენება	
III სესია	**აქტივობა**	**აღწერა**
15 წთ	ჯგუფური პრეზენტაციები	1. მსმენელები იყოფიან ჯგუფებად და აკეთებენ პრეზენტაციას თუ რისი გაკეთება არის შესაძლებელი სტრესის პრევენციისთვის.
20 წთ	ჯგუფური პრეზენტაციები	1. მსმენელები წარადგენენ პრეზენტაციებს
10 წთ	ლექცია	1. მსმენელებს წაეკითხებათ ლექცია სტრესის პრევენციასთან დაკავშირებით
1 სთ	შესვენება	
IV სესია	**აქტივობა**	**აღწერა**
10 წთ	ლექცია	1. მსმენელებს წაეკითხებათ ლექცია სტრესის პრევენციასთან დაკავშირებით
15 წთ	ჯგუფური პრეზენტაციები	1. მსმენელები იყოფიან ჯგუფებად და აკეთებენ პრეზენტაციას თუ რისი გაკეთება არის შესაძლებელი სტრესის კონტროლისთვის
20 წთ	ჯგუფური პრეზენტაციები	1. მსმენელები წარადგენენ პრეზენტაციებს
V სესია	**აქტივობა**	**აღწერა**
45 წთ	ლექცია	1. მსმენელებს წაეკითხებათ ლექცია სტრესის ეფექტურ კონტროლთან დაკავშირებით

II დღე-ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტი (5 სთ)	
ხანგრძლივობა	**აქტივობის შინაარსი**
10 წთ	**შესავალი** - ტრენერი ესაუბრება მონაწილეებს კომუნიკაციის არსსა და მათ საქმიანობაში მისი მნიშვნელობის შესახებ.
15 წთ	**სავარჯიშო ჭორი -** ტრენერი ჯგუფიდან ირჩევს შვიდ მოხალისეს, გამოჰყავს ჯგუფის წინ და აძლევს ინსტრუქციას: „მე თქვენ წაგიკითხავთ პატარა ამბავს. ყურადღებით მომისმინეთ, ეცადეთ ყველაფერი დეტალურად დაიმახსოვროთ, რასაც წაგიკითხავთ, თქვენ არ გაქვთ კითხვების დასმის უფლება, მხოლოდ მისმენთ და შემდეგ შემომსვლელს უყვებით რაც დაგამახსოვრდებათ.“ დანარჩენი ჯგუფის წევრებს ვთხოვთ არანაირი მინიშნება არ მისცენ გამომსვლელებს და ყურადღებით დააკვირდნენ ინფორმაციის გაცვლის პროცესს. ამის შემდეგ, 6 კაცს ვუშვებთ ოთახიდან და დარჩენილ ერთს ვუკითხვათ ტექსტს (მონოტონურად და რაც შეძლება სწრაფად), რომელიც უნდა დაიმახსოვროს და სხვებს გადასცეს.
20 წთ	**სავარჯიშოს შეჯამება და ლექცია** - ტრენერი აჯამებს ჭორის სავარჯიშოს, შემდგომ კი წაიკითხავს ლექციას კომუნიკაციის ბარიერებისა შესახებ.
10:45 – 11:00	**შესვენება**
10 წთ	**როლური გათამაშება** - ტრენერი მსმენელებთან ერთდ გაითამაშებს როლურის 2 ვარიანტს, სადაც მოირგებს ერთ შემთხვევაში კარგი, მეორე შემთხვევაში კი ცუდი მსმენელის როლს.
10 წთ	**ბრეიმ-შტორმინგი** - როლურზე დაყრდნობით მონაწილეები განიხილავენ კარგი მსმენელის მახასიათებლებს.
25 წთ	**შეჯამება და ლექცია-დისკუსია** - ინფორმაციის მიღების სტრატეგიები; LEAPS მოდელი.
11:45 – 12:00	**შესვენება**
15 წთ	**ჯგუფური სამუშაო** - მსმენელებს მიეწოდებათ ბლანკი, რომელზეც მოცემულია შეკითხვები. მათ უნდა მოახდინონ შეკითხვის ტიპების იდენტიფიკაცია.
20 წთ	**ჯგუფური სამუშაო** - მსმენელებს მიეწოდებათ სიტუაციური ქეისები, მათ ევალებათ ინფორმაციის გაცემისას დაშვებული შეცდომების იდენტიფიკაცია.
10 წთ	**ლექცია** - ტრენერი მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას ინფორმაციის გაცემის პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციების, პოზიტიური ფორმულირებისა და ნეგატიური ინფორმაციის გადაცემის სტანდარტის შესახებ.
12:45 – 14:00	**დიდი შესვენება**
15 წთ	**ლექცია** - ძირითადი რეკომენდაციები ინფორმაციის გაცემის დროს. პოზიტიური ფორმულირება და ნეგატიური ინფორმაციის გადაცემის სტანდარტი.
15 წთ	**ჯგუფური სავარჯიშო** - მსმენელებს ეძლევათ ნეგატიურად ფორმულირებული შეკითხვები, რომლებიც უნდა შეცვალონ პოზიტიური ფორმულირებით
15 წთ	**ლექცია-დისკუსია** - ტრენერი მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას კომუნიკაციის პროცესში გასათვალისწინებელი არავერბალური მახასიათებლების შესახებ.
14:45 – 15:00	**შესვენება**

20 წთ	**ჯგუფური სავარჯიშო** - ტრენერი ჯგუფს ყოფს მცირე ჯგუფებად. თუთოეულ ჯგუფს აძლევთ დავალებას, რომ განსაზღვრონ და ჩამოწერონ მათთვის ნაცნობი სიცრუის ვერბალური და არავერბალური ინდიკატორები. თითოეული ჯგუფი აკეთებს დავალების პრეზენტაციას. ინსტრუქტორის ინიშნავს ყველა ჯგუფის მოსაზრებას და დავალების შესრულების შემდეგ შეაჯამებს, ყველაზე ხშირად დაფიქრისებულ სიცრუის ვერბალური და არავერბალური ინდიკატორებს.
30 წთ	**ლექცია** - ტრენერი ჯგუფს აწვდის ინფორმაციას შემდეგი თემების შესახებ - სიცრუის ვერბალური და არავერბალური ინდიკატორები, სიცრუის ინდიკატორების ინტერპრეტაციისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები
10 წთ	**დღის შეჯამება**

III დღე - კონფლიქტური სიატუაციების მართვა (5 სთ)	
ხანგრძლივობა	**აქტივობის შინაარსი**
10 წთ	**ბრეიმ-შტორმინგი** - ტრენერი ავალებს მონაწილეებს იმსჯელონ მათ საქმიანობაში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებზე, განსაზღვრონ კონფლიქტის არსი და მიზეზები. ჯგუფისაგან მიღებულ პასუხებს, ტრენერი ჩამოწერს ფლიფჩარტზე.
15 წთ	**ლექცია** - ტრენერი მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას კონფლიქტის არსისა და მიზეზების შესახებ.
20 წთ	**ვიდეოს ჩვენება და განხილვა** - ტრენერი მონაწილეებს აჩვენებს ვიდეოს, რომლის საფუძველზეც ჯგუფისაგან ისმენს კონფლიქტის მიმდინარეობას და კონფლიქტის ეტაპებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.
10:45 – 11:00	**შესვენება**
10 წთ	**ლექცია** - ტრენერი აჯამებს მონაწილეებისაგან მიღებულ პასუხებს და ჯგუფს აწვდის ინფორმაციას კონფლიქტის მიმდინარეობისა და ეტაპების შესახებ.
10 წთ	**ბრეიმ-შტორმინგი** - ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, რომ დაასახელონ ის მახასიათებლები/ნიშნები, რომლებიც გაბრაზებულ/აგრესიულ ადამიანს ახასიათებს ხოლმე. განიხილონ, რატომაა ხოლმე რთულ გაბრაზებულ და აგრესიულ ადამიანთან კომუნიკაცია რთული, რატომ შეიძლება წარმოიშვას ამ დროს კონფლიქტები.
25 წთ	**ლექცია** - ინსტრუქტორი მსმენელებს აწვდის ინფორმაციას ბრაზის, მისი წარმოშობის მიზეზების, თვითრეგულაციის საკითხებზე. აგრეთვე, აცნობს, აგრესიის შესამცირებელ ტექნიკებს. რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციაში გაბრაზებულ მოქალაქესთან ურთიერთობაში შეიძლება დაეხმაროთ.

11:45 – 12:00	**შესვენება**
20 წთ	**ჯგუფური სავარჯიშო** - მსმენელებს მიეწოდებათ ქცევის ტიპების ნიმუშები, ევალებათ ქცევის ტიპების იდენტიფიკაცია. ტრენერი მათთან ერთად აჯამებს სავარჯიშოს.
25 წთ	**ჯგუფური სამუშაო -** მონაწილეების იყოფიან ჯგუფებად, მათ ევალებათ დაწერონ სამსახურთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციები, რომლის საფუძველზეც შემდგომ გაითამაშებენ როლურებს.
12:45 – 14:00	**დიდი შესვენება**
45 წთ	**როლური გათამაშება** - დაწერილი ქეისების საფუძველზე მსმენელები გაითამაშებენ აგრესიულ მოქალაქესთან კომუნიკაციას. მოხდება ვიდეოს ჩაწერა და განხილვა.
14:45 – 15:00	**შესვენება**
40 წთ	**როლური გათამაშება** - დაწერილი ქეისების საფუძველზე მსმენელები გაითამაშებენ აგრესიულ მოქალაქესთან კომუნიკაციას. მოხდება ვიდეო ჩაწერა და განხილვა.
10 წთ	**დღის შეჯამება**

სწავლების შეფასება	
მსმენელები შეფასდებიან ინსტრუქტორის მიერ წინასწარ შერჩეული სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის ღონისძიებათა იმიტაციით. მსმენელები შეფასდებიან შემდეგ საკითხებში: 1. „სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირება“ 2. „სასაზღვრო-მიგრაციის მართვისა და მოხსენების სისტემია (BMARS) “ არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება.	
სწავლების შეფასების ხანგრძლივობა	**2 საათი**